



ქრონიკალი
გიორგი



ნან. ზ. ფურცხიძისა

№ 24 (1226) თბილისი, დეკემბერი 1965

სიყვარული

— უკვე თორმეტი საათია და, ნებავ, სადაა ის პავუჭი?

გამოცემის 43-ე წელი. ფასი 20 კპ.



ქართული ხელოვნება

(გამოგორბული პაროდები ბათუ მელისი)

გიორგი ლეონიძე

გაგვიასალწელიწადა,
მოგილოცავთ მგოსნიერად!
სუფრა სუნმა ირმის მწვადთა
განახობისხორციელა...
თოვლი ჩამოგოწინაყდა,
სისხლი აგვიშამპანურა.
წელბრწყინვალე არი, ნაღდად, —
ოქროდღებზღაპარულა.
გლოცავთ ყველას! ვაშა, ვაშა! —
ხევისური ხარ, თუ კახელი, —
როგორც მე დამლოცა ვაჟამ,
მხარზე დამკრა დამსკდარხელი.

გრიგოლ აბაშიძე

ლექსი ათასი, პოემა ასი,
რომან-მოთხრობა მე მაქვს ათობით...
შემოგზავდებოდა შენ, ალბათ, გზაში
წიგნადქცეული ჩვენი „მნათობი“.
თუმც შენს ლოდინში გული მიცემდა,
ვეხვეწებოდი ძველ წელს: „ნუ წახვალ,
ახალ რომანთა ბეჭდვას ვიწყებთ და
გადამიციხებ ერთი, თუ ქმა ხარ!“



ირაკლი აბაშიძე

ო, წელო, მწველო, ახალო წელო,
რუსთველის წელო, ზვიმის წელო,
გთხოვ, სტუმრები არ გამინაწყენო
და ცუდ მასპინძლებს არ მიმაწერო!
გაგვიასაკეცე დიდება, ლხენა,
აგვიბულბულე ქართული ენა.
დაატკბობინე მსოფლიოს სმენა...
შენ ერთი დამრჩი პატივუცემი,
მე ვიცი შენი პატივისცემა!

სიმონ ჩიქოვანი

სამოცდახუთით ხომ გაოცდა მეღუქვე,
ვით ცირა, მოცურდა სამოცდამეექვსე.
ახალწლის ცაა თუ მაღალი მტეფენები,
ახალი ფიქრები, ახალი ტემები!
ღრუბელი ტყვიანა, ვერცხლი თუ თუთია?
სამოცდამეექვსი თუ სამოცდახუთია?..



ოთარ ჭილაძე

ოთარ ჭილაძე

ლექსი რითმებგამართული!
მე არ ვიცი, მოდა რაა!
ვარ სიმართლეს დანატრული,
როგორც ქვირთვი ოთარაანთ.
შენ ჯერ კიდევ ახალი ხარ,
დაიჯერე ჩემი რჩევა:
ყალბ პოეტებს ლახვარი ჰკარ,
ლახვრით ბევრი სენი რჩება!



მსურს სამოცდახუთს შეგავლო თვალი,
ვიცქირო წარსულ დღეების იქით,
ახალ წელს ვუთხრა: მე ვარ ოთარი,
მაქვს საკუთარი ბინა და ფიქრი.
თუმც მწერლობას აქვს მრავალი დარგი,
მე, ჯერ-ჯერობით, ორი რამ მიყვარს:
საკუთარ ლექსს ვწერ და სხვის ლექსს ვთ
თქვენ კი, არ ვიცი, ვინ ხართ, რანი ხართ
თიხის ფირფიტებს ქვა რომ ახალო,
იეროგლიფებს მაინც ვერ წაშლი,
ვარ და ვიქნები, წელო ახალო,
ბევრგან მოღამი, ბევრგან გეგმაში.

იოსებ ნონეშვილი

გაგიგონია? ერთმა პოეტმა
შემოიარა მსოფლიო გრცელი,
ვერ ჩამოასწრო და ინდოეთმა
მას გაუთენა ახალი წელი.
ამერიკაში გამოიზამთრა,
(ო, ცაზე როგორ ცივად იდგა მზე!)
შორ ზანზიბარში არ დაიცადა
და დაუბრუნდა თავის „ლიტგაზეთს“.
ეს მე ვარ! კვლავ რომ მამოგზაურო,
მიოხარი, თუ გაქვს იმისი წელი?
გაქვს? გამაცილე აურზაურით,
ვით გააცილე შენ ძველი წელი.



ხუტა ბერულავა

ვარსკვლავებს მოწყდა ვარსკვლავი,
„ნაკაულს“ მოწყდა „ცისკარი“.
მიყვარს საკუთარ თავსაგვით,
სად მისროლია ისარი.
დღეს ოჯახს საქართველოში
ხუტასჯერ ათას ხუთასის
საუნჯედ გამოცემული
წიგნები ხატავს ხუტასი.
თუმცა არც ძველ წელს ვემდური,
შენ მაინც სხვა ხარ, ახალო,
ვერ მიოხრა მე საყვედური:
ის ხუტა აღარა ხარო!





— ოოო! მოზარდით, მოზარდით!

შემოიარეთ ხვალ!



რეზა მარკიანი

შენი სტუმრობით ვარ გადარევას, შენც ასევე ხარ, იქნებ? როდესაც წახვალ, გაგატანს რევაზ საჩუქრად ახალ წიგნებს! არა თქვა, რატომ გამოსცა ესო, (გეგმიდან კაცს ვეღარ წაფული!) ლხინი უმრავლეს, სამოცდაექვსო, მარგიანს საკუთარ სახლში.

ბარლო კალაძე

მინდა რომანი დავწერო ლექსად, ლექსი — რომანად, პიესა — პროზად და გამარჯვების სასმისი შევსვა, სამოცდაშვიდი დადგება როცა. მინდა პოემა ნოველად ვწერო, მემუარები მინდა — ბალადად, რომ წიგნითა ჩემთა, ახალ წელი, ვეღარ იტყვდეს წიგნთა პალატა!



მურმან ლეზანიძე

პოეტთა სიაში პოეტად ვწეროვარ, გვართ ლეზანიძე, სახელით მურმანი ვარ; ჩემი ხმა მიყვარს და ჩემი ხმით ვმღეროვარ, სიმღერის უღმერთოდ მწყურვალ ვარ! ტუხია დაუშვილს და რუსო გაგნიძეს, ვალიკო საღლიანს და ვახტანგ ჯავახიძეს მე სიმონ სხირტლაძის გულისთვის ვაღვიძებ, ჩემი სტრიქონები იმათ დაგახარაჯე! ახალი წელი ხარ და ახალი ლექსები მაქვს, ძველი წელი იყო, ახალ ლექსებს ვწერდი; ახლად აღმოვცენდი სვანურ ფესვებიდან, სვანს მთებში წაყვანას აღარ ვებეწვები.



ანა კალანდანიძე

მუხლთ მოვიყრი და დავგროვებ, ავსე ფიქრთა ჩემთა სამყარო! შენთვის შემომრჩა ღვინო დოქებით, წელი ახალი! გინა თქვა, თითქოს ლექსს ვუღალატე, სად ანა და სად ლექსის ღალატი? სულს ჩირილაკი ისევ ანათებს გურულ კალანდის. შემობრძანებას დიდება შენსას, ვქველავარ შენად ლოცვად, ღალადად, სადღვრდელი როგორ არ შევსვა დღეთა ახალთა?



ტარიელ ჯანაშვილი

რა მოხდა, სამოცდაექვსო, ამხელა ყანწებს რომ მაძალბებ? მაცალე, გაგრიტომო, გაგლექო, გამოგცნაურო, მაცალე! (ნეტაი, ახლა ვიჯდე სოფელში, ვუმზერდე ბაღჩა-ბოსტანს, მზის ჰულაპუბი ცის დეკოლტეში იქიდან უკეთ მოსჩანს).



მურმან მარკიანი

ოცდათერთმეტში, თორმეტის თერთმეტზე, ამოვიარე რა რუსთველის პროსპექტი, ჩემს ფეხქვეშ თოვლქუაბი აჭყლობინდა... რაც მართალია, მართალია, — ახალ წელს ძველი წელი არ სჯობია! ჰოდა, გაბატონებთ საახალწლოდ, თუ მოხვალთ, პურ-მარლისაც გავიმეტებ, ხომ უნდა შევიქცოთ თავი რაიმეთი? ან ღვინო დავლიოთ, ან რომი მაგარი, ან რომისებური, ან რაღაც ამგვარი... ისე, ხომ იცით, სიმთვრალე რავარია? — აყალი, მაყალი, დებოში, ავარია... იფ!.. იფ!.. იფ!..




ზოთა ნიშინიძე

უპ, სამოცდახუთო, აუ, რა გიქნია: შენი თორმეტი თვე შუბზე აგივია, უკვდავებისათვის ლუკმად წავიღია, ჩემი ლექსებისთვის ხელი არ გინლია!

შენ, სამოცდაექვსო, ლექსო ჩემი ხვალის, ღმერთმა მოგცეს მადა ვეფხვისა და ხარის, გამოცემლობების გეგმებს არ ეხები? მგლები ამოყარე, ბეჭდე ხარ-ვეფხვები!



ქანაცხური



სახალწლო საჩუქარი

— რას ბრძანებთ! ჩემი ერთად-
ერთი ნაკლი სწორედ ის არის, რომ
პირში ვიცი თქმა...
— რისი? სიმართლის?!
— არა, როგორ გეკადრებათ, ბა-
ტონო დირექტორო!

* * *

როგორც მოგეხსენებათ, სამსახურ-
ში ჭამისთვის ერთი საათია გამოყო-
ფილი. ზოგიერთები კი მთელი 7
საათის განმავლობაში ჭამენ... ერთ-
მანეთს.

* * *

— რა ჰქენი, ჩაგაბარეს მალაზია?
— არა, ისევ ძველებურად მაწვა-
ლებენ!
— შეეკაცო, მიგეცა ქრთამი აქე-
სენტი პორფირიჩისთვის და საქმეც
გათავდებოდა!
— ვითომ, იკადრებს?..
— იკადრებს, აბა, რისი კადრების
უფროსია!

* * *

— გია, რომელი უფრო ადრე გაჩ-
ნდა: ქათამი თუ კვერცხი?
— რალა თქმა უნდა, ქათამი!
— ვინ მოგასხენა!
— როგორ თუ ვინ? რამდენჯერ
მინახავს, როგორ დებდა ქათამი
კვერცხს!

* * *

— თქვენ მე არ მიცნობთ, ბატონო
დირექტორო! მე ისეთი ადამიანი
ვარ, ტვინის დარიგებაც რომ მომან-
დოთ, ჩემთვის ერთ მისხალსაც ვერ
გავიმეტებდი!..
— დიას, მეც მგონია, რომ ასეთი
შემთხვევა თქვენ ერთხელ უკვე გქონ-
დათ ცხოვრებაში.

* * *

საზღვარგარეთ ხშირად იწყობა
კონკურსები დევიზით: „ვინ უფ-
რო მეტს შეჭამს!“ შედეგებით
აღფრთოვანებული გაზეთები სენსა-
ციურ ცნობებს ბეჭდავენ ამის შესახებ.
ჩვენშიც შეიძლება ასეთი კონ-
კურსების მოწყობა, მაგრამ ეფექტი
არ ექნებოდა, რადგან ჩვენთან „შეჭ-
მის“ საქმე თავიდანვე გარკვეულია
და საჭირო ცნობები პროკურატურას
საკმაოდ მოეპოვება.

გოდანის ჩივილი

მოლარე ვარ, კარგად ვიცი
ჩემი საქმის ფასი,
მაგრამ, რა ვქნა, მე ერთი ვარ,
უფროსი მყავს ასი.

ყველა ფულს მთხოვს საახალწლოდ,
ჩემზე არვინ არ წუხს,
გვასესხეო, იძახიან,
ჩვენ ვაგებთო პასუხს.

მთხოვს მთავებუნი, დირექტორი,
მომმარაგებელი
და ხანდახან, რა დაფიცო,
მეც წამცდება ხელი.

სალაროს კარს, როგორც ჭიშკარს,
დღეში ასჯერ ვაღებ,
კარგად ვიცი, საფინანსო
დისციპლინას ვარღვევ.

ამას ფული, იმას ფული! —
ამივარდა სიცხე;
რევიზია რომ დამეცეს,
იმას რალა მივცე?


თ. პარტველიშვილი

ვის რა და ვის ვინ უნდა საახალწლოდ

- მსახიობსა — ტაშუე ტაში,
- მაყურებელს — გაქცევა შინ,
- მწერალს — წიგნი სქელი,
- მწონავს — თითი გრძელი.
- ლექტორს — ლაპარაკი,
- მის ცოლს — აგარაკი.
- დისერტანტსა — ხარისხი,
- თონენტსა — რა ვიცი!..
- ქალ-ვაჟს — მალე ქორწილი,
- მლიქვნელს — ენა მოქნილი.
- პირში მთქმელსა — ცხენი,
- ცხრა მთის გადამფრენი.
- გოგოს — საქმრო რჩეული,
- სულ სიმუნჯეს ჩვეული.
- ბიჭს — საცოლე „ვოლგაინი“,
- სახელოვანმოდმიანი.
- სიღედს — სიძე უთქმელი,
- უსმელი და უჭმელი.
- სიძეს — დიმილმფინარი,
- ჯიბესქელი სიმამრი.

ნ. შამანაძე

ნახ. ღონისა



— ჩემმა ცოლმა უცხოურ წინდებში
20 მანეთი გადაიხალა!
— ფხეხევა კიდებია შენი ჯაგაბი-
რი!

ნახ. ლალი ზამბახიძისა



პრიტიკოსი: თქვენ უკვლავი ხართ!
კოედი: აბა, კიღვი მოგესწრები ჩემი ლე-
სიგის გამოცხვას?



— ერთი იმის უშვავი გავხდა, რა ვირს ავას და მერა მოვალა!..

რაციონალიზატორული წინადადებები

კოსმოსის წარმატებით ათვისებისათვის

სულ მალე ადამიანი მთვარეზე ფეხს დააბიჯებს. ეს არ გახლავთ საბაგირო გზით ფუნქციონორზე გასეირნება. კოსმონავტმა უნდა აიტანოს უწონადობის მდგომარეობა, რყევა, წნევის ცვალებადობა და ა. შ. ამიტომ, წინადადება-მომხატვეს, კოსმონავტი ჩავსვით თბილისი-არბოს ავტობუსში. ტყვიავამდე გზა ჩვეულებრივია, მოსაფლტებელი. ეს მონაკვეთი ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ იმისთვის, რომ კოსმონავტს შევამზადებთ ფსიქოლოგიურად. მერე იწყება, რაც იწყება. უეცარი მიწისქვეშა ბიძგი რომ ავისვრის, თუ ხელებით ჰაერში ცურვას სრულყოფილად არა ხარ დაუფლებული, სკამზე უსათუოდ თავით დაჯდები. იგულისხმება, რომ სხვის სკამზე. ამ დროს იგი თავისუფალი იქნება, რადგან მისი პატრონი შენი სკამისკენ გადავარდება... ეს სეანსი გრძელდება ოცოდე წუთს.

აბა, ახლა გავუხინჯოთ კოსმონავტს წნევა და გულ-ღვიძლის მდებარეობა. თუ წნევა 450-ზე მეტია, ხოლო გულ-ღვიძლი საყლაპავ მილს არაა გადმოცილებული, მთვარეზე კი არა, მარსზე შესძლებს გაფრენას.

მეუბნებიან, არბოს გზაზე ნაცლები არ არის № 9 ავტობუსის მარშრუტი ზაპესშიო. ვეთანხმები, მაგრამ ამ გზაზე ავტობუსით ჯერ ის მინდა გავატარო, ვისაც მისი შეკეთება ევალება.

საოფისის დასახმარებლად

ყოველი საგნის სწავლება თვალსაჩინოების მეოთხედით უნდა წარმართოს. ჟანგბადის მიღება თუ ბერთოლუს მარილის აფეთქება, შეიძლება უშუალოდ გაცვეთილზე მოხდეს. ბავშვს უკეთ დაამახსოვრდება, მაგრამ, როდესაც მასწავლებელი განმარტავს ვულკანს, ჩამქრალს თუ მოქმედს, საკლასო ოთახში ხომ ვერ აჩვენებს მის ამოფრქვევას?

ბავშვებს რომ ზერეულე წარმოდგენა არ დარჩეთ, ისინი შეიძლება წავიყვანოთ ექსკურსიაზე ვულკანის სანახავად. განა კამჩატკაზე, ან იტალიაში?

ჩვენცა გვაქვს საკუთარი, თბილისური ვულკანი!

ღრმადღეში, ავტორის ქარხნის მახლობლად, ზედ ტრანსპორტის საეალ გზაზე, შარშან პირი დაალო მიწამ. ძალიან დიდი პირი. ჩემი თვალით ვნახე შიგ ცხვირით ჩავარდნილი „ვოლგა“. კრატერი უზარმაზარი იყო და ოცი „ვოლგა“ ჩაეტეოდა, მაგრამ დროზე შეკრეს გზა და ვულკანთან მისვლა აკრძალეს. ერთი წელი აღარ მოქმედებდა ვულკანი და, ამ ერთი წლის წინ, კვლავ პირი დაალო მიწამ, ვულკანის კრატერში ჩავარდნას და ლავაში დაღუპვას სასწაულებრივ გადარჩა ხალხი, რომლითაც გაჭედილი იყო ტრამვაის ორი ვაგონი.

აი, სწორედ აქ უნდა მოიყვანონ გეოგრაფიის მასწავლებლებმა. მოსწავლეები და ადგილზევე აუხსნან მათ ვულკანის საიდუმლოებანი, მიწისქვეშა ფენები, მიწისქვეშა წყლები. აქვე შეიძლება უთხრან ბავშვებს ისიც, თუ ზოგიერთი სუხისმგებელი ძია როგორ უპასუხისმგებლო უკიდება თავის საქმეს.

რ. მამულაშვილი

ნახ. ლ. სისარულმისა

უბიქსო ხუმრობა

ნახ. ვ. პუმპურმისა

ნახ. ჯ. ლოლუსი

ნახ. ვის უბოვებთ?



ჩაუნაჩალი სოლისკმა და დაუბეჭდავი ლექსები (მინიატურა)

რედაქტორის კაბინეტში მორიდებით შევიდა ერთი მელოტი კაცო.

— თავს მოვიჭირი, შენ თუ ამბროსი არ იყო! — აღტაცებით წამოიძახა რედაქტორმა.

— მე ვარ, მაგრამ... კაცო, დამიანე ხარ შენი?

— აბა, ვინ ვარ ვეღარ მიცანი?

— გიცანი, როგორ ვერ გიცანი!

რედაქტორმა სკამი მიაწოდა.

— ძალიან მჭირდებოდი, ჩემო ამბროსი, და კარგია რომ შემოიარე!

— მე გჭირდებოდი?! — გაიოცა ამბროსიმ.

— აბა, კაცო! ცოლისკმა ჩამომივიდა რაიონიდან, ჩასაწერია და... თუმცა, ამაზე მეტე. სხვა, როგორ ხარ, რას საქმიანობ, რაზე შეწუხებულხარ?

ამბროსიმ სქელი საქალაქე გახსნა და რამდენიმე ნაბეჭდი თაბახი გაუწოდა.


— ეს რა არის? — იკითხა გაკვირვებულმა დამიანემ.

— ლექსები!

რედაქტორი სახტად დარჩა; კეფაზე ხელი მოიხვა და ჩაიბურტყუნა:

— პენსიაზე თუ იყავი გასული, ადრე ვერ თქვი, შე კაცო?

— ?!



ნახ. ბ. ლომიძისა

უბიქსო ხუმრობა

ბ. ზარნაძე

რედაქტორი ნ. დუშაძე
სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალიაშვილი, გ. ნიშნაიძე, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუხთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-89, საერთო განყოფილების — 3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 16/XII-1965 წ. ქალ. ზომა 70x108 1/2 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირბით ფორმათა რაოდენობა 1. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კბ ცვ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 4802 უფ 03519 ტირიფი 40000

